

## 8. ინფორმაცია უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის შესახებ - 2010

### 8.1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაშვებისა და მიღების წესები:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების (2009 წლიდან - 12 წელი) მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები, დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამაზე (ქვესაფეხური პირველი საფეხურის ფარგლებში) - მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტი.
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდები. მიღების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

### 8.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

2009 წლიდან საქართველოში არსებობს შემდეგი სახის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

**კოლეჯი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ბაკალავრიატის ფარგლებში არსებული დიპლომირებული სპეციალისტი პროგრამას ან/და მხოლოდ პირველი საფეხურის – ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას;

**სასწავლო უნივერსიტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პირველი და მეორე საფეხურის პროგრამებს. ამასთან, სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;

**უნივერსიტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი.

### 8.3. კვალიფიკაციების სტრუქტურა

2005 წლიდან საქართველოში შემოღებულ იქნა სამსაფეხურიანი სისტემა. ამ სისტემაზე სრული გადასვლა განხორციელდა 2009-2010 სასწავლო წლიდან (მედიცინის, სტომატოლოგიის და ვეტერინარიის გარდა). უმაღლესი განათლების საფეხურებია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. უმაღლესი განათლების საფეხურის დასამთავრებლად აუცილებელია შესაბამისი რაოდენობის კრედიტების დაგროვება.

პირველი საფეხური: ბაკალავრიატი - 240 კრედიტი

- 2007 წლიდან პირველის საფეხურის ფარგლებში არსებობს დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა 120-180 კრედიტით. დიპლომირებული სპეციალისტი უფლებამოსილია, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების საფუძველზე, სწავლა გააგრძელოს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე. შესაძლებელია დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამაზე დაგროვილი კრედიტების აღიარება.

მეორე საფეხური: მაგისტრატურა - 120 კრედიტი

მესამე საფეხური: დოქტორანტურა - 180 კრედიტი

სამედიცინო (დიპლომირებული მედიკოსი -360 კრედიტი), სტომატოლოგიური (დიპლომირებული სტომატოლოგი -300 კრედიტი) და ვეტერინარული (დიპლომირებული ვეტერინარი - 300 კრედიტი) განათლება არის ერთსაფეხურიანი ინტეგრირებული განათლება და თავისი სწავლის შედეგებით უთანაბრდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს.

### 8.4. ხარისხის უზრუნველყოფა

ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით. გარე ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის მეშვეობით ([www.nea.ge](http://www.nea.ge))

### 8.5. შეფასების სისტემა

2007 წლიდან ეროვნულ დონეზე არსებობს შეფასების 100 ქულიანი სისტემა.

### 8.6. ინფორმაციის ეროვნული წყარო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მისამართი: დ. უზნაძის ქ. 52, თბილისი, 0102

www.mes.gov.ge

ელფოსტა: pr@mes.gov.ge

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი

მისამართი: დ. უზნაძის ქ. 68; თბილისი, 0102

www.nea.ge

ელფოსტა: [info@nea.ge](mailto:info@nea.ge)

### უმაღლესი განათლების სისტემა

#### უმაღლესი განათლების საფეხურები

#### დაწესებულებები

